



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამბიკივა“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

27 დეკემბერი 2019 წელი

N 29/36

ეგზ.: N1

შპს „საქაერონავიგაციის“ 2017 წლის
შემოსავლების და ხარჯების
შესაბამისობის აუდიტი

სარჩევი

გაცემული რეკომენდაციები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	7
აუდიტის მასშტაბი	7
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი	8
აუდიტის მეთოდოლოგია	9
ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა	10
აუდიტის საგნის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მდგომარეობა	15
1. შემოსავლები	15
1.1 შემოსავლები სააერონავიგაციო მომსახურებიდან	15
1.2 საპროცენტო შემოსავალი	15
2. შესყიდვებში გამოვლენილი ნაკლოვანებები	17
2.1 შესყიდვების სპეციალური წესი	17
2.2 ტრენინგების შესყიდვები	17
2.3 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	19
3. მივლინებებთან დაკავშირებით გამოვლენილი ნაკლოვანებები	20
3.1 მივლინების დროს გაწეული ხარჯების კლასიფიკაცია	20
3.2 ავანსად გაცემული მივლინების თანხების გადაფასება	20
3.3 სამივლინებო ხარჯების დასაბუთება	21
4. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	22

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „საქაერონავიგაციის“ (შემდგომ – კომპანია ან საქაერონავიგაცია) 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი და მოიცვა კომპანიის შემოსავლები და ხარჯები.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს საჰაერო სივრცესა და საქართველოს აეროპორტებში სააერნოსნო მომსახურების გაწევა.

სააერნოსნო მომსახურება მოიცავს საჰაერო მოძრაობის მართვასთან დაკავშირებულ შემდეგ მომსახურებებს: საჰაერო სივრცისა და მოძრაობის ნაკადების ორგანიზება, საავიაციო კავშირგაბმულობა, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო მომსახურება, საავიაციო მეტეოროლოგიული მომსახურება, ჰაერსანაოსნო ინფორმაციით და საძებნ-სამაშველო მომსახურება.

აუდიტის შედეგად ნაკლოვანებები გამოვლინდა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

საპროცენტო შემოსავლები

კომპანიას არ აქვს დოკუმენტირებული, რა კრიტერიუმების საფუძველზე იღებს კონკრეტულ ბანკში თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსების გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება, არის თუ არა არსებული პირობები საბანკო სექტორის შეთავაზებებს შორის საუკეთესო.

შესყიდვებში გამოვლენილი ნაკლოვანებები

- შპს „საქაერონავიგაციის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესი განსაზღვრავს მონეტარულ ზღვარს, რომლის ფარგლებში კომპანიას შეუძლია შესყიდვის განხორციელება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, თუმცა აღნიშნული ზღვარი ეხება კონკრეტული შესასყიდი მომსახურების/საქონლის და არა წლის განმავლობაში ერთი და იმავე ტიპის ობიექტების შესყიდვის ღირებულებას. აღნიშნული ჩანაწერი ხარვეზიანია და ხელშეკრულების ხელოვნურად დაყოფის საშუალებას იძლევა, რაც ზრდის შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.
- 2017 წელს საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 1323 განკარგულების საფუძველზე, სატრენინგო მომსახურებისა და საქონლის შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელების მიზნით, შესყიდულია 11 სატრენინგო მომსახურება, ჯამში 1,222,019 ლარის ღირებულებით. აღნიშნული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადი გამოყენების დოკუმენტია და მის საფუძველზე მრავალჯერადი შესყიდვის განხორციელება ეწინააღმდეგება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების აქტს თან უნდა ახლდეს მასალათა შესყიდვის დოკუმენტაცია, შრომის ანაზღაურებაზე დამკვეთთან შეთანხმებული ხელშეკრულებები, სატრანსპორტო გადაზიდვის ზედნადებები და ფაქტობრივი დანახარჯების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია. 2017 წელს კომპანიამ გამარტივებული წესით შეისყიდა სარემონტო სამუშაოები ფაქტობრივი ღირებულებით, 188,559 ლარი. სამუშაოების შემსრულებელს არ წარმოუდგენია ფაქტობრივად

გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნები.

მივლინებებთან დაკავშირებით გამოვლენილი ნაკლოვანებები

- საქაერონავიგაციის ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების ანგარიშგების სახელმძღვანელოში განსაზღვრული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, მივლინება მოიცავს სადღეღამისო, სასტუმროს, მგზავრობის და მივლინებაში გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, რაც არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯების კატეგორიებს. აღნიშნული კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ბიზნესგეგმაში ხელოვნურად იზრდება მივლინების ხარჯების და შესაბამისად, მცირდება წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლები. ნაკლოვანებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებებზე, როგორც დაგეგმვის, ისე ანგარიშგების ეტაპზე.
- თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების დროს სამივლინებო თანხები გაიცემა ავანსად, შესაბამისი უცხოური ვალუტის ეკვივალენტით ლარში, გაცემის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ეროვნულ ვალუტაში წინასწარ გადახდილი სამივლინებო თანხები გადაფასდება მივლინების დახურვის დღეს არსებული კურსით, რაც ეწინააღმდეგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.
- კომპანიას არ აქვს შემუშავებული მივლინებებთან დაკავშირებული პოლიტიკა, არ არის განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის სამივლინებო ხარჯის ანაზღაურების პრინციპები, მათი ზღვრული ოდენობები და პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნულის გამო, რიგ შემთხვევაში, არ დასტურდება გაწეული ხარჯების რაციონალურობა და მიზნობრიობა. შესაბამისად, იზრდება ფინანსურად არახელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღების რისკი.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სამეთვალყურეო საბჭო, მთავრობის გადაწყვეტილებით, დაკომპლექტებულია ოთხი მინისტრის მოადგილით. წესდების მიხედვით, ისინი პასუხისმგებელნი არიან კვარტალში მინიმუმ ერთხელ შეკრებაზე კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით, მათ შორის, ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების მონიტორინგზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა ბიზნესგეგმის პროექტის განხილვის მიზნით. ასევე სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ დროულად არ განახორციელა ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში და 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად კვლავ იყვნენ რეგისტრირებულნი რამდენიმე მინისტრის ყოფილი მოადგილეები. შესაბამისად, ბიზნესგეგმის შესრულებასა და ზოგადად, საქმიანობაზე კონტროლი სათანადოდ არ განხორციელებულა, რაც შესაძლოა იყოს კომპანიის საქმიანობაში არსებული დაგეგმვის ხარვეზების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

გაცემული რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. კომპანიის ხელმძღვანელობას

ეფექტიანი ფინანსური მმართველობის უზრუნველსაყოფად, თავისუფალი ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე განთავსების გადაწყვეტილების მიღებისას, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციამ“ განიხილოს სხვადასხვა კომერციული ბანკის შეთავაზება. ამასთანავე, გონივრული პერიოდულობით განაახლოს ინფორმაცია საბანკო სექტორის შეთავაზებების შესახებ და მიიღოს კომპანიისთვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია N2. კომპანიის ხელმძღვანელობას

ფულადი სახსრების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის პრინციპების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებული პერსონალის სწავლებასთან, მომზადებასთან/გადამზადებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალურ წესში მონეტარული ზღვარი უკავშირდებოდეს არა ყოველი კონკრეტული შესასყიდი მომსახურებისა და საქონლის ღირებულებას, არამედ მათ ტიპებს.

რეკომენდაცია N3. კომპანიის ხელმძღვანელობას

კომპანიაში დანერგილი ინსტრუქციებისა და ბიზნესპროცესების მარეგულირებელ ნორმებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შპს „საქაერონავიგაციის“ ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების ანგარიშგების სახელმძღვანელოში სამივლინებო ხარჯები განისაზღვროს „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების შესაბამისად.

რეკომენდაცია N4. კომპანიის ხელმძღვანელობას

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ სამივლინებო ხარჯები აღიარდეს თანამშრომლებზე ავანსის გაცემის და არა მივლინების დახურვის დღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

რეკომენდაცია N5. კომპანიის ხელმძღვანელობას

ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციამ“ შეიმუშაოს და დანერგოს მივლინებებთან დაკავშირებული პოლიტიკა, სადაც განსაზღვრული იქნება სხვადასხვა ტიპის სამივლინებო ხარჯის ანაზღაურების პრინციპები, მათი ზღვრული ოდენობები და პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

რეკომენდაცია N6. სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შპს „საქაერონავიგაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში სათანადო

ცვლილებების დროულ ასახვას და საბჭოს შეკრების სიხშირის შესაბამისობას კომპანიის წესდებასთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს შპს „საქაერონავიგაციის“ სამეურნეო წლის სწორად დაგეგმვას, კომპანიის კონტროლს და კომპლექსურ საკითხებზე მართებული გადაწყვეტილების მიღებას მმართველი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით შეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, შეიცავს თუ არა შპს „საქაერონავიგაციის“ 2017 წლის შესწავლის საგნით გათვალისწინებული საქმიანობა დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებაში არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- შემოსავლები;
- ხარჯები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა შპს „საქაერონავიგაციის“ 2017 წლის საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს საჰაერო კოდექსი;
- შპს „საქაერონავიგაციის“ წესდება;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სააერონავიგაციო მომსახურების გადასახდელის შედგენისა და გამოთვლის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის ბრძანება N1-1/67;
- „გათავისუფლებულ ფრენაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 ივნისის N 419 დადგენილება;
- „სააერონავიგაციო მომსახურების გადასახდელების დამტკიცების შესახებ“ შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალური დირექტორის 2015 წლის 22 დეკემბრის N 239 ბრძანება;
- შპს „საქაერონავიგაციის“ ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების ანგარიშის სახელმძღვანელო;
- „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება;
- „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება;
- „დაქირავებულთათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ძირითადი აუდიტორული პროცედურები, კონტროლების ტესტირება, შემოწმება, გამოკითხვა, ხელახალი გაანგარიშება, ანალიტიკური პროცედურები, ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან და დაკვირვება.

ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა

შპს „საქაერონავიგაცია“ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოა. კომპანიის წილის 100%-ს ფლობს საქართველოს სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

წესდების შესაბამისად, კომპანიის მმართველობითი ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. პარტნიორთა საერთო კრება მართვის უმაღლესი ორგანოა და გადაწყვეტილებებს იღებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განსაზღვრა, კომპანიის ბიზნესგეგმის დამტკიცება, მისი შესრულების მიმდინარეობის კონტროლი და სხვ. სამეთვალყურეო საბჭო შედგება პარტნიორთა საერთო კრების მიერ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით არჩეული ოთხი მინისტრის¹ მოადგილისგან. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორატის საქმიანობას, ყოველკვარტალურად ისმენს ინფორმაციას კომპანიის ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. დირექტორატი შედგება გენერალური და აღმასრულებელი დირექტორებისგან, რომელთაც ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. კომპანიის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, ხოლო მისი არყოფნისას – აღმასრულებელი დირექტორი.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს საჰაერო სივრცესა და საქართველოს აეროპორტებში სააერნოსნო მომსახურების გაწევა.

სააერნოსნო მომსახურება მოიცავს საჰაერო მოძრაობის მართვასთან დაკავშირებულ შემდეგ მომსახურებებს: საჰაერო სივრცისა და მოძრაობის ნაკადების ორგანიზება, საავიაციო კავშირგაბმულობა, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო მომსახურება, საავიაციო მეტეოროლოგიული მომსახურება, ჰაერსანაოსნო ინფორმაციით და სამებნ-სამაშველო მომსახურება.

საქართველოს საჰაერო სივრცით სარგებლობის უფლება აქვს, როგორც საქართველოში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდებსა და ავიაკომპანიებს, ასევე სხვა საჰაერო სატრანსპორტო საშუალებას, სახელმწიფოსთან დადებული შეთანხმებების საფუძველზე.

1960 წელს, საჰაერო მიმოსვლის მართვის ერთიანი ევროპული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, შეიქმნა „საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაცია“ (შემდგომ – ევროკონტროლი). იგი უზრუნველყოფს უსაფრთხო, ეფექტურ და უწყვეტ საჰაერო მოძრაობის მართვას, ახორციელებს საჰაერო სივრცის კონტროლს ევროპის მასშტაბით. საქართველო 2014 წლის პირველი იანვრიდან გახდა ევროკონტროლის მე-40 წევრი ქვეყანა.

შპს „საქაერონავიგაციის“ დაფინანსების წყარო საკუთარი შემოსავლებია, რომლის 99% შედგება **მარშრუტის** და **ტერმინალის** სააერნოსნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისგან. გადასახდელები გაიანგარიშება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

¹ შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.


ბრძანების² და შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალური დირექტორის ბრძანების³ საფუძველზე. აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები ძირითადად ეფუძნება „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის და ევროკონტროლის „მარშრუტზე სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის ხარჯთა ბაზის განსაზღვრისა და ერთეულის განაკვეთის გააგარიშების პრინციპების“ მოთხოვნებს.

მარშრუტის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი არის საქართველოს საჰაერო სივრცეში სხვადასხვა ავიაკომპანიების მიერ განხორციელებულ ფრენებზე შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალი.

აღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს გადასახდელის დარიცხვას საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებისათვის.

ტერმინალის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საქართველოს აეროპორტებში შესრულებულ აფრენა-დაფრენაზე შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს.

სურათი N1. მარშრუტის და ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურებები



² 2014 წლის 5 მარტის N1-1/67 ბრძანება „სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის შედგენისა და გამოთვლის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

³ 2015 წლის 22 დეკემბრის N 239 ბრძანება „სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის დამტკიცების შესახებ“.

როგორც მარშრუტის, ისე ტერმინალის სააერონავიგაციო მომსახურების გადასახდელები იყოფა ჩვეულებრივ და „გათავისუფლებულ ფრენებზე“⁴ დარიცხულ გადასახდელებად. გათავისუფლებული ფრენები განისაზღვრება საქართველოს საჰაერო კოდექსისა⁵ და საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ბრძანების⁶ საფუძველზე. გათავისუფლებულ ფრენებზე დარიცხული სააერონავიგაციო მომსახურების გადასახდელის ანაზღაურებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,⁷ ჩვეულებრივი ფრენების შემთხვევაში კი, დარიცხული მარშრუტის და ტერმინალის სააერონავიგაციო მომსახურების გადასახდელი იფარება ავიაკომპანიების მიერ.

მარშრუტის მომსახურებაზე ტარიფის კალკულაციაში მონაწილეობს საჰაერო ხომალდის მასა, დაფარული მანძილი და ევროკონტროლის მიერ დადგენილი კოეფიციენტი. აღნიშნული კოეფიციენტი დათვლილია შპს „საქაერონავიგაციის“ ყოველწლიურად დაგეგმილი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების საფუძველზე. კოეფიციენტი უზრუნველყოფს, რომ საბოლოოდ დადგენილი ტარიფის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა დაფაროს კომპანიის შესაბამისი წლის დანახარჯები. დაგეგმილი დანახარჯების ბაზა წინასწარ იგზავნება და თანხმდება ევროკონტროლთან.

ტერმინალის მომსახურების ტარიფები განსხვავდება საჰაერო ხომალდისა და ფრენის ტიპების მიხედვით და ფიქსირებულია საქართველოს ევროკონტროლში გაწვევრიანების დღიდან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია შემოსავლის ტიპების, შესაბამისი ტარიფების დამდგენისა და გადასახდელი თანხების მომკრების შესახებ.

ცხრილი N1. შპს „საქაერონავიგაციის“ შემოსავლის ტიპები

შემოსავლის ტიპი	ტარიფის დამდგენი	მომკრები
მარშრუტის სააერონავიგაციო მომსახურება	ევროკონტროლი	ევროკონტროლი
ტერმინალის სააერონავიგაციო მომსახურება	შპს „საქაერონავიგაცია“	შპს „საქაერონავიგაცია“

⁴ სახელმწიფო საჰაერო ხომალდი; საჰაერო ხომალდი, რომლის ბორტზე იმყოფება სახელმწიფო მეთაური, მთავრობის მეთაური, მინისტრი; საომარი მდგომარეობის დროს განხორციელებული ფრენა და სხვ.

⁵ საქართველოს საჰაერო კოდექსის 20⁴ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფრენები.

⁶ N 1-1/67.

⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 ივნისის N419 დადგენილების თანახმად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია⁸ 2017 წელს კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ:

ცხრილი N2. შპს „საქაერონავიგაციის“ სრული შემოსავლის აუდიტირებული ანგარიშგება (ათას ლარებში)

	2017	2016	ცვლილება	%
შემოსავალი რეალიზაციიდან	75,733	66,908	8,825	13%
მარშრუტის სააერონავიგაციო მომსახურებიდან (ტრანზიტი)	49,573	47,431	2,142	5%
ტერმინალის სააერონავიგაციო მომსახურებიდან (აფრენა-დაფრენა)	25,583	19,273	6,310	33%
სხვა შემოსავალი	577	204	373	183%
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,036	885	151	17%
პერსონალის ანაზღაურება	(30,773)	(25,889)	4,884	19%
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(13,486)	(13,185)	301	2%
სხვა საოპერაციო ხარჯები	(16,901)	(15,900)	1,001	6%
ტექნიკური პერსონალის ტრენინგის ხარჯი	(2,497)*	(2,620)	(123)	-5%
რემონტის ხარჯი	(2,363)*	(2,335)	28	1%
ევროკონტროლის საწევრო ხარჯი	(2,052)*	(1,951)	101	5%
მივლინების ხარჯი	(1,550)	(2,002)	(452)	-23%
გადასახადები	(1,529)*	(1,171)	358	31%
სხვა ხარჯები	(1,462)*	(781)	681	87%
დაზღვევის ხარჯი	(1,206)*	(705)	501	71%
კომუნალური ხარჯი	(829)	(704)	125	18%
სატესტო ფრენების ხარჯი	(765)*	(542)	223	41%
კავშირგაბმულობის ხარჯი	(570)	(564)	6	1%
რეგულირების ხარჯი	(502)*	(423)	79	19%
მარაგებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯი	(396)	(700)	(304)	-43%
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(372)	(651)	(279)	-43%
ტრანსპორტისა და საწვავის ხარჯი	(241)	(182)	59	32%
ევროკონტროლის ადმინისტრაციული გადასახადი	(158)*	(165)	(7)	-4%
საბანკო მომსახურების ხარჯი	(142)	(139)	3	2%
წარმომადგენლობითი ხარჯი	(131)	(177)	(46)	-26%
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(108)	(55)	53	96%
სარეკლამო ხარჯი	(15)	(9)	6	67%
იჯარის ხარჯი	(13)	(24)	(11)	-46%
საოპერაციო მოგება	15,609	12,819	2,790	22%
ფინანსური შემოსავალი	4,606	5,839	(1,233)	-21%
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	3,561	4,926	(1,365)	-28%
საპროცენტო შემოსავალი	1,045*	913	132	14%
ფინანსური ხარჯები	(4,713)	(5,435)	(722)	-13%
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(3,763)	(5,071)	(1,308)	-26%
საპროცენტო ხარჯი	(950)	(364)	586	161%
მოგება	15,502	13,224	2,278	17%

* - აღნიშნული მუხლების შინაარსი განმარტებულია ქვემოთ:

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს კომერციულ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ კომპანიის თავისუფალ ფულად სახსრებზე დარიცხულ სარგებელს.

ტექნიკური პერსონალის ტრენინგის ხარჯი მოიცავს ავიაშემსრულებლების, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისოდ აღიარებულ ტრენინგცენტრებში გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს. აღნიშნული მუხლი ასევე მოიცავს შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ

⁸ მონაცემები აღებულია შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიას“ მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

შემენილი საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მოწყობილობების ექსპლოატაციისთვის პერსონალის სწავლებაზე გაწეულ ხარჯებს.

რემონტის ხარჯი⁹ მოიცავს ავტომობილების ტექმომსახურების, სატრანსფორმატორო ქვესადგურების, რადარების, საჰაერო მოძრაობის მართვის სარეზერვო სისტემების ტექნიკური მხარდაჭერის და უძრავი ქონების რემონტის ხარჯებს.

ევროკონტროლის საწვებო ხარჯის ოდენობა დამოკიდებულია შემდეგ მონაცემებზე: ევროკონტროლის მიერ გაწეულ ხარჯებზე, წვერი ქვეყნების მიერ მარშრუტის სააერნოსნო მომსახურებაზე გაწეულ ფაქტობრივ ხარჯებსა და მთლიანი შიდა პროდუქტის ჯამურ მაჩვენებელში საქართველოს ხვედრით წილზე.

ევროკონტროლის ადმინისტრაციული გადასახადი არის ევროკონტროლისთვის გადასახდელი თანხა მარშრუტის მომსახურებაზე მომკრების ფუნქციის შესრულებისთვის.

დაზღვევის ხარჯი მოიცავს საჰაერო სივრცის,¹⁰ კომპანიის ქონებისა და ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხარჯებს. სადაზღვევო კომპანია შერჩეულია ტენდერის საფუძველზე სამ პრედენტენტს შორის. რისკები გადაზღვეულია 4 უცხოურ სადაზღვევო კომპანიაში.

სატესტო ფრენების ხარჯი არის სანავიგაციო მოწყობილობების შემოწმებისთვის გაწეული ხარჯები. აღნიშნული შემოწმება ხორციელდება წელიწადში 2-ჯერ სანავიგაციო მოწყობილობების გამართულობის დასადგენად.

რეგულირების ხარჯი არის სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის ტერმინალის სააერნოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობისთვის გადასახდელი თანხები. აღნიშნული ხარჯი რეალურად გაწეულია საქართველოს აეროპორტებში აფრენა-დაფრენის განმახორციელებელი ავიაკომპანიების მიერ. შპს „საქაერონავიგაცია“ ასრულებს მხოლოდ გადასახდელების მომკრების ფუნქციას. შესაბამისად, თანხა გათვალისწინებულია როგორც კომპანიის ხარჯებში, ისე შემოსავლებში.

სხვა ხარჯები ძირითადად მოიცავს სხვადასხვა მოწყობილობებისა და მასალების ჩამოწერის, ასევე ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების, პროგრამული უზრუნველყოფის და დაცვის ხარჯებს.

⁹ ძირითადად შედგება შემდეგი ხარჯებისგან: რადარების ტექნიკური მხარდაჭერა – 1,381,882 ლარი, შენობა-ნაგებობების რემონტი – 421,777 ლარი.

¹⁰ საჰაერო სივრცის დაზღვევა გულისხმობს სააერნოსნო მომსახურების გაწევის შედეგად დამდგარი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევას.

აუდიტის საგნის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მდგომარეობა

1. შემოსავლები

1.1 შემოსავლები სააერნოსნო მომსახურებიდან

შპს „საქაერონავიგაციის“ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა არის სრულად ავტომატიზებული. კომპანიის საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემა აღრიცხავს თითოეული საჰაერო ხომალდის მიერ შესრულებული ფრენის შესახებ ინფორმაციას: ფრენის დროს, საჰაერო ხომალდის წონას, მარშრუტს და ა.შ.

ყოველი კონკრეტული ფრენის განხორციელებამდე კომპანიის საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემაში აისახება ფრენის გეგმა, რომელიც სისტემაში იგზავნება ევროკონტროლის ან ავიაკომპანიის მიერ. ფრენის გეგმაში მოცემულია საჰაერო ხომალდის ტიპი და მარშრუტი. სისტემაში ასევე თავს იყრის ინფორმაცია ფაქტობრივად შესრულებული ფრენების და მათზე გაწეული სააერნოსნო მომსახურებების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სისტემიდან ყოველდღიურად ავტომატურად გადადის „ბილინგის“ პროგრამაში. შემოსავლების დარიცხვა მარშრუტის და ტერმინალის სააერნოსნო მომსახურებებზე ხორციელდება შემდეგნაირად:

მარშრუტის მომსახურებისთვის ტარიფის დადგენასა და თანხის აკრეფასთან ერთად, გადასახდელის დარიცხვას უზრუნველყოფს ევროკონტროლი. გადასახდელი თანხა გაიანგარიშება მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებულ ფრენებზე, ზემოაღნიშნულ ფრენის გეგმაში მითითებულ მონაცემებზე¹¹ დაყრდნობით. დარიცხვის ამსახველი ფაილები ყოველთვიურად იტვირთება ევროკონტროლის შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა აქვს შპს „საქაერონავიგაციას“. პორტალიდან მიღებული ინფორმაცია, ავიაკომპანიებზე დარიცხული გადასახდელების შესახებ, აისახება ბუღალტრულ პროგრამაში.

ტერმინალის მომსახურების ტარიფები გაწერილია ბილინგის პროგრამაში, რომელიც ავტომატურად აღრიცხავს გადასახდელებს საქართველოს აეროპორტებში შესრულებულ აფრენა-დაფრენაზე. ინფორმაცია ყოველთვიურად აისახება ბუღალტრულ პროგრამაში.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად შპს „საქაერონავიგაციის“ სააერნოსნო შემოსავლების კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტები არ გამოვლენილა.

1.2 საპროცენტო შემოსავალი

ეფექტიანი ფინანსური მმართველობის უზრუნველსაყოფად, კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები მიმართული უნდა იყოს მაქსიმალური სარგებლის მიღებისკენ.

შპს საქაერონავიგაციას თავისუფალი ფულადი სახსრები განთავსებული აქვს კომერციული ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე. 2017 წლის მარტში, ბანკთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე,

¹¹ საჰაერო ხომალდის წონა და დასაფარი მანძილი. გეგმური მონაცემები შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს ფაქტობრივისგან.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები და შესაბამისად, მიღებული სარგებელი. მაგალითად, ლარის მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი თითქმის გაორმაგდა, იმ პირობებში, როცა ეროვნული ბანკის მონაცემებით, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები კომერციული ბანკების დეპოზიტებზე იმავე პერიოდში არსებითად არ შეცვლილა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიას არ აქვს დოკუმენტირებული, რა კრიტერიუმების საფუძველზე იღებს კონკრეტულ ბანკში თანხის განთავსების გადაწყვეტილებას. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია კომერციული ბანკებისგან მიღებული ინდივიდუალური შეთავაზებების შესახებ, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთები განსხვავდებოდეს სტანდარტული პირობებისაგან.

ხელმძღვანელობის განმარტებით, კომპანიაში მოქმედი არასახელმწიფო საპენსიო ფონდის აქტივების მართვის პროცესში ისინი პერიოდულად ეცნობიან ინფორმაციას ვადიან და მოთხოვნამდე ანაზღაურებზე ბანკებში არსებული საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საბანკო მომსახურების პირობები არის ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანი და უმჯობესია კომპანიამ გადაწყვეტილება მიიღოს სხვადასხვა ბანკებისგან მიღებული შეთავაზებების შეჯერების საფუძველზე, რაც იქნება შესაბამისად დადოკუმენტირებული.

რეკომენდაცია N1. კომპანიის ხელმძღვანელობას

ეფექტიანი ფინანსური მმართველობის უზრუნველსაყოფად, თავისუფალი ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე განთავსების გადაწყვეტილების მიღებისას, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციამ“ განიხილოს სხვადასხვა კომერციული ბანკის შეთავაზება. ამასთანავე, გონივრული პერიოდულობით განაახლოს ინფორმაცია საბანკო სექტორის შეთავაზებების შესახებ და მიიღოს კომპანიისთვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილება.

2. შესყიდვებში გამოვლენილი ნაკლოვანებები

2017 წელს შპს „საქაერონავიგაციაში“ შესყიდვები ხორციელდებოდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2017 წლის შესყიდვების შესახებ:

ცხრილი N5. 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვის საშუალება	რაოდენობა	ფაქტობრივი ხარჯი (ლარებში)
ელექტრონული ტენდერი	73	17,235,186
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	25	3,089,971
გამარტივებული შესყიდვა	91	5,255,032
კონსოლიდირებული ტენდერი	18	146,590
სულ:	207	25,726,779

2.1 შესყიდვების სპეციალური წესი

2017 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის N578 დადგენილების საფუძველზე, დამტკიცდა შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებული პერსონალის სწავლებასთან, მომზადებასთან/გადამზადებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი. აღნიშნული წესი, შემსყიდველის მიზნების შეუფერხებლად განხორციელებისა და ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნით, ამარტივებს შესყიდვების პროცედურებს. ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს, თუ ამ წესით¹² განსაზღვრული ყოველი კონკრეტული შესასყიდი მომსახურების/საქონლის ღირებულება არ აღემატება 500,000 ლარს.

ზემოაღნიშნული ზღვარი ეხება ყოველ კონკრეტულ შესყიდვას და არა წლის განმავლობაში ერთი და იმავე ტიპის ობიექტების შესყიდვის ღირებულებას. შესაბამისად, ჩანაწერი არის ხარვეზიანი და ხელშეკრულების ხელოვნურად დაყოფის საშუალებას იძლევა, რაც ზრდის შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.

რეკომენდაცია N2. კომპანიის ხელმძღვანელობას

ფულადი სახსრების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის პრინციპების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებული პერსონალის სწავლებასთან, მომზადებასთან/გადამზადებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალურ წესში მონეტარული ზღვარი უკავშირდებოდეს არა ყოველი კონკრეტული შესასყიდი მომსახურებისა და საქონლის ღირებულებას, არამედ – მათ ტიპებს.

2.2 ტრენინგების შესყიდვები

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის¹³ თანახმად, სამართლებრივი აქტები იყოფა ნორმატიულ და ინდივიდუალურ აქტებად. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობის

¹² მუხლი 3, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

¹³ მუხლი 2.

დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომელიც მრავალჯერადი გამოყენების დოკუმენტია. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁴ თანახმად, მთავრობა იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს. მთავრობის განკარგულება არ არის ნორმატიული აქტი. იგი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია და ერთჯერადად გამოიყენება.

შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და მომზადებისთვის/გადამზადებისთვის სულ დახარჯულია – 2,492,756 ლარი. აღნიშნული თანხიდან – 1,222,019 ლარი გადახდილია უშუალოდ სატრენინგო მომსახურების შესყიდვაზე, ხოლო დანარჩენი – 1,270,737 ლარი მოიცავს საქაერონავიგაციის მიერ შეძენილი საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მოწყობილობების ექსპლუატაციისთვის პერსონალის სწავლებაზე გაწეულ ხარჯებს.

კომპანიის განმარტებით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ტრენინგების შესყიდვა მიზანშეწონილია საერთაშორისოდ აღიარებულ სატრენინგო ცენტრებში. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ცენტრები საქაერონავიგაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობას არ იღებდნენ, რის გამოც, აუცილებელი გახდა ტრენინგების გამარტივებული წესით შესყიდვა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საწარმოს წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრის მიზნით, 2015 წლის 23 ივნისს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება.¹⁵ განკარგულების თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „საქაერონავიგაციას“ უფლება მიეცა დასაქმებული პერსონალის მომზადებასთან/გადამზადებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვა განხორციელებინა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, საქაერონავიგაცია სატრენინგო მომსახურებების შესყიდვებს ახორციელებდა 2017 წლის სექტემბრამდე, მიუხედავად იმისა, რომ განკარგულება ერთჯერადი გამოყენების დოკუმენტი იყო. შედეგად, 2017 წელს, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე, განხორციელებულია 11 სატრენინგო მომსახურების შესყიდვა, ჯამური ღირებულებით – 1,222,019 ლარი, რაც ეწინააღმდეგება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს.

აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით,¹⁶ „შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებული პერსონალის სწავლებასთან, მომზადებასთან/გადამზადებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“.

¹⁴ მუხლი 6.

¹⁵ შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ. საქართველოს მთავრობის N 1323 განკარგულება.

¹⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 578.

კომპანიაში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები მსგავსი ნაკლოვანებების დროულად გამოსავლენად, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს, ზოგადად, კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე.

2.3 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹⁷ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნულ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების აქტს¹⁸ თან უნდა ახლდეს მასალათა შესყიდვის დოკუმენტაცია, შრომის ანაზღაურებაზე დამკვეთთან შეთანხმებული ხელშეკრულებები, სატრანსპორტო გადაზიდვის ზედნადებები და ფაქტობრივი დანახარჯების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია.

შპს „საქაერონავიგაციას“ და შპს „დაგს“ შორის 2017 წლის 5 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება¹⁹ თბილისის საჰაერო მოძრაობის მართვის შენობის სახურავისა და ავიამეთვალყურეთა სამუშაო ოთახების სარემონტო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვაზე. შესყიდვა განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით²⁰ და ის შეთანხმებული იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან.²¹

წარმოდგენილი აქტის მიხედვით, შპს „დაგს“ მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა 188,559 ლარი შეადგინა. სამუშაოების შემსრულებელს არ წარმოდგენია ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, დარღვეულია საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რამდენად შეესაბამება შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გადახდილი თანხა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებას.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანება ზრდის კომპანიის ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.

¹⁷ 2014 წლის 14 იანვრის N 55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 3.

¹⁸ ფორმა N2.

¹⁹ N მომს 04/05/17.

²⁰ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი იყო შემდეგი: ძლიერი ქარისა და ნალექის გამო დაზიანდა საჰაერო მოძრაობის მართვის შენობის სახურავი და საფრთხე შეექმნა შენობაში განთავსებულ ძვირად ღირებულ აპარატურას.

²¹ SMP170001111.

3. მივლინებებთან დაკავშირებით გამოვლენილი ნაკლოვანებები

შპს „საქაერონავიგაციის“ 2017 წლის სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 1,549,698 ლარი, საიდანაც 1,305,752 ლარი ქვეყნის გარეთ მივლინებაზე, ხოლო – 243,946 ლარი ქვეყნის შიგნით მივლინებაზე დაიხარჯა.

3.1 მივლინების დროს გაწეული ხარჯების კლასიფიკაცია

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით,²² დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების²³ შესაბამისად. ბრძანების მიხედვით, სამივლინებო ხარჯები შედგება სადღელამისო, ბინის დაქირავებისა და მგზავრობის ხარჯებისგან.

საქაერონავიგაციის ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების ანგარიშგების სახელმძღვანელოში განსაზღვრული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, მივლინება მოიცავს სადღელამისო, სასტუმროს, მგზავრობის და მივლინებაში გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, რაც არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯების კატეგორიებს.

აღნიშნული კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ბიზნესგეგმაში ხელოვნურად იზრდება მივლინების ხარჯების და შესაბამისად, მცირდება წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლები. ნაკლოვანებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებებზე, როგორც დაგეგმვის, ასევე ანგარიშგების ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ მივლინებაში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სწორად და არ არის მიკუთვნებული მივლინების ხარჯებს.

რეკომენდაცია N3. კომპანიის ხელმძღვანელობას

კომპანიაში დანერგილი ინსტრუქციებისა და ბიზნესპროცესების მარეგულირებელ ნორმებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შპს „საქაერონავიგაციის“ ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების ანგარიშგების სახელმძღვანელოში სამივლინებო ხარჯები განისაზღვროს „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების შესაბამისად.

3.2 ავანსად გაცემული მივლინების თანხების გადაფასება

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით,²⁴ არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, არ ექვემდებარება გადაფასებას.

²² მუხლი 101, პუნქტი 3.

²³ დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N 220 ბრძანება.

²⁴ ბასს 21, პუნქტი 23.

საზღვარგარეთ მივლინების შემთხვევაში, თანამშრომლებზე სადღეღამისო და სასტუმრო ნორმები გაიცემა ავანსად, ეროვნულ ვალუტაში, თანხის გაცემის დღის შესაბამისი ოფიციალური გაცვლითი კურსით. მივლინება ხარჯად აღიარდება მივლინების დახურვის დღის თარიღით. მივლინების ხარჯად აღიარების დროს გაიანგარიშება სხვაობა, თანხის ავანსად გაცემის დღის კურსსა და მივლინების დახურვის დღის კურსს შორის. შედეგად, ვალუტის კურსის გაზრდის შემთხვევაში, სხვაობა ანაზღაურდება კომპანიის მიერ, ხოლო შემცირების შემთხვევაში, თანამშრომელი აბრუნებს შესაბამის სხვაობას.

მივლინებების პროცესში დანერგილმა ზემოაღნიშნულმა პრაქტიკამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

რეკომენდაცია N4. კომპანიის ხელმძღვანელობას

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ სამივლინებო ხარჯები აღიარდეს თანამშრომლებზე ავანსის გაცემის და არა მივლინების დახურვის დღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

3.3 სამივლინებო ხარჯების დასაბუთება

სამსახურებრივი მივლინებები უნდა გამომდინარეობდეს კომპანიის საჭიროებებიდან და შესაბამისი ხარჯები რაციონალურობის პრინციპების დაცვით უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.

კომპანიას არ აქვს შემუშავებული მივლინებებთან დაკავშირებული პოლიტიკა, არ არის განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის სამივლინებო ხარჯის ზღვრული ოდენობა, მათი ანაზღაურების პრინციპი და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა არსებითი საკითხები.

კომპანიაში არ დოკუმენტირდება, განიხილება თუ არა სხვადასხვა ალტერნატივა ავიაბილეთების შეძენისას და რა კრიტერიუმებით ხდება ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა. შესაბამისად, არსებობს არაეკონომიური გადაწყვეტილების მიღების რისკი.

რიგ შემთხვევებში, კომპანიის მენეჯმენტი ქვეყნის გარეთ მივლინებებისას სარგებლობს ბიზნესკლასის ავიაბილეთებით და ტაქსის მომსახურებით, რომელთა ხარჯები ანაზღაურებულია კომპანიის მიერ. შესაბამისი დასაბუთების არარსებობის გამო, არ დასტურდება რამდენად არის დაცული ეკონომიურობის და რაციონალურობის პრინციპები ზემოაღნიშნული ხარჯების გაწვევისას.

აღნიშნული ნაკლოვანებები ზრდის ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს და მიუთითებს მივლინებებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის საჭიროებაზე.

რეკომენდაცია N5. კომპანიის ხელმძღვანელობას

ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციამ“ შეიმუშაოს და დანერგოს მივლინებებთან დაკავშირებული პოლიტიკა, სადაც

განსაზღვრული იქნება სხვადასხვა ტიპის სამივლინებო ხარჯის ანაზღაურების პრინციპები, მათი ზღვრული ოდენობები და პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

4. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

საქართველოს მთავრობის განკარგულებით,²⁵ შპს „საქაერონავიგაციის“ სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვრა ოთხი მინისტრის მოადგილით. სამეთვალყურეო საბჭოში შეყვანილია შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრების მოადგილეები.

წესდების მიხედვით,²⁶ სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორატის საქმიანობას, განიხილავს კომპანიის ბიზნესგეგმის პროექტს და დამტკიცების შემდეგ ყოველკვარტალურად ისმენს ინფორმაციას მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ასევე წესდებით²⁷ საბჭოს აქვს კვარტალში, მინიმუმ, ერთხელ შეკრების ვალდებულება.

კომპანიის ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების ანგარიშგების სახელმძღვანელოს შესაბამისად, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული ბიზნესგეგმის პროექტი წარედგინება პარტნიორს დასამტკიცებლად.

მიუხედავად ყოველკვარტალური შეკრების ვალდებულებისა, 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბა მხოლოდ ერთხელ, 2017 წლის თებერვალში. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად კვლავ იყვნენ რეგისტრირებულნი რამდენიმე მინისტრის ყოფილი მოადგილეები. აღნიშნულის შესახებ კომპანიამ 2017 წლის 28 ივნისს და 8 დეკემბერს მიმართა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. სააგენტოს მიერ შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა 6 თვის დავგვიანებით – 2017 წლის 21 დეკემბერს.

კომპანიის ბიზნესგეგმის პროექტის განხილვის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბა 2017 წლის 22 თებერვალს. აღნიშნული თარიღის შემდეგ საბჭო აღარ შეკრებილა, შესაბამისად, არ განხორციელებულა კონტროლი ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობაზე.

²⁵ 2012 წლის 28 ნოემბრის N1959.

²⁶ მუხლი 8.

²⁷ მუხლი 8, პუნქტი 7.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017 წელს კომპანიის ბიზნესგეგმით გათვალისწინებული და ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ:

ცხრილი N3. შპს „საქაერონავიგაციის“ დაგეგმილი და ფაქტობრივი შემოსავლები და ხარჯები

	გეგმური	ფაქტობრივი	სხვაობა	წილი
საოპერაციო შემოსავალი	72,775,661	75,196,717	2,421,056	3%
სააერნაოსნო შემოსავალი მარშრუტიდან	52,267,000	49,572,660	(2,694,340)	5%
სააერნაოსნო შემოსავალი ტერმინალიდან	20,483,661	25,582,814	5,099,153	25%
სხვა საქონლისა და მომსახურების გაყიდვები	25,000	37,893	12,893	52%
სხვა შემოსავალი		3,350	3,350	100%
არასაოპერაციო შემოსავალი	1,200,000	6,178,611	4,978,611	415%
საპროცენტო და საინვესტ. შემოსავალი	198,000	1,044,422	846,422	427%
საიჯარო შემოსავალი	1,002,000	248,032	(753,968)	75%
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება		3,561,435	3,561,435	100%
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,324,721	1,324,721	100%
სულ შემოსავალი	73,975,661	81,375,327	7,399,666	10%
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	32,597,718	29,086,228	(3,511,490)	11%
სააერნაოსნო მარშრუტიდან	22,818,403	20,360,360	(2,458,043)	11%
სააერნაოსნო ტერმინალიდან	9,779,315	8,725,869	(1,053,446)	11%
კომერციული, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	35,547,741	32,073,789	(3,473,952)	10%
შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	6,131,691	5,866,342	(265,349)	4%
დაზღვევა და სხვა სარგებელი	289,691	288,168	(1,523)	1%
საიჯარო გადასახადი	39,200	12,931	(26,269)	67%
კომუნალური ხარჯები	645,000	828,657	183,657	28%
რეკლამა, მარკეტინგი	83,100	15,286	(67,814)	82%
მიმდინარე რემონტი	3,048,450	2,363,345	(685,105)	22%
მივლინების ხარჯები	2,100,000	1,549,698	(550,302)	26%
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	242,600	108,283	(134,317)	55%
გადასახადები	1,251,200	1,529,389	278,189	22%
ცვეთა/ამორტიზაცია	14,553,958	13,486,041	(1,067,917)	7%
სხვა ხარჯები	7,162,851	6,025,648	(1,137,203)	16%
არასაოპერაციო ხარჯები	107,000	4,712,401	4,605,401	4304%
საპროცენტო ხარჯები	107,000	950,175	843,175	788%
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი		3,762,209	3,762,209	100%
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		17	17	100%
სულ ხარჯები	68,252,459	65,872,419	(2,380,040)	3%
მოგება	5,723,202	15,502,908	9,779,706	171%

ბიზნესგეგმის ფაქტობრივ და დაგეგმილ მონაცემებს შორის არსებული სხვაობები მიუთითებს დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე. წლიური მოგება 171%-ით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს, მნიშვნელოვანი სხვაობებია „შემოსავლებისა“ და „ხარჯების“ ძირითად მუხლებში.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველკვარტალურად შეკრების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა დაგეგმილ და ფაქტობრივ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობების განხილვა. მიზეზების დასაბუთების შემთხვევაში, დაკორექტირებული ბიზნესგეგმა წარედგინებოდა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა კომპანიის წესდების მოთხოვნები სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების კვარტალში, მინიმუმ, ერთხელ, ჩატარებისა და ბიზნესგეგმის შესრულების მდგომარეობის ანგარიშის ყოველკვარტალურად განხილვის შესახებ. შესაბამისად, ხელმძღვანელი ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო) მიერ არ განხორციელებულა კომპანიაზე ეფექტიანი კონტროლი.

რეკომენდაცია N6. სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შპს „საქაერონავიგაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში სათანადო ცვლილებების დროულ ასახვას და საბჭოს შეკრების სიხშირის შესაბამისობას კომპანიის წესდებასთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს შპს „საქაერონავიგაციის“ სამეურნეო წლის სწორად დაგეგმვას, კომპანიის კონტროლს და კომპლექსურ საკითხებზე მართებული გადაწყვეტილების მიღებას მმართველი ორგანოების მიერ.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

თარიღი

ხელმოწერა

ბესიკ ქოჩიაშვილი
მთავარი აუდიტორი

27.02.19



გიორგი ბერუაშვილი
წამყვანი აუდიტორი

27.02.19



რაინ ყუფუნია
წამყვანი აუდიტორი

27.02.19



თენგიზ თევდორაძე
უფროსი აუდიტორი

27.02.19



გიორგი ხადიშვილი
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

27.02.19



სიმონ კიპაროძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

27.02.19



სარდიონ მოსეშვილი
აუდიტორ-ასისტენტი

27.02.19



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38